

„ქართული ოცნება- დემოკრატიულ საქართველოს“ ისევ ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს



ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დათანხმდა, რომ პარტია „ქართული ოცნება“ დემოკრატიულ საქართველოს უხელმძღვანელოს. ამის შესახებ 26 აპრილს

გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერმა და პარტიის ამჟამინდელმა ლიდერმა გიორგი კვიციანიშვილმა განაცხადა.

„პირადად ჩემი და მთელი გუნდის სახელით შევთავაზე და ვთხოვე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს, რომ სათავეში ჩაუდგეს პარტიას. მოხარული ვარ, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თანხმობა განაცხადა“, - აღნიშნა კვიციანიშვილმა.

„დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ დეკლარაციები ერთხმად აირჩევენ ბიძინა ივანიშვილს პარტიის ახალ თავმჯდომარედ“. - კვიციანიშვილი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილის პარტიის სათავეში დაბრუნება პოზიტიურად აისახება ქვეყანაზე.

„უახლოეს დღეებში გაიმართება პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა, რის შემდეგაც გაიმართება ყრილობა. დარწმუნებული ვარ, როგორც პოლიტსაბჭო, ისე საქართველოდან წარმოდგენილი დელეგატები, ერთხმად აირჩევენ ბიძინა ივანიშვილს ახალ თავმჯდომარედ და შესაბამისად არჩეული იქნება პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობაც. დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება პოზიტიურად აისახება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ეს იქნება ახალი იმპულსი ჩვენი გუნდისთვის და პირადად ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისთვის“, - „მნიშვნელოვანია, ჩვენ, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, შევინარ-

ჩუნოთ ერთიანობა ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, დადგა აუცილებლობა, მაქსიმალურად გაძლიერდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

„მინდა გაგაცნოთ ის მნიშვნელოვანი სახელე, რომელიც იგეგმება „ქართული ოცნებაში“. სრულიად ბუნებრივია ინტერესი მმართველ გუნდში მიმდინარე პროცესების მიმართ, ხალხს სჭირდება სიციხადე. ჩვენ, როგორც ხელისუფლებას, უნდა გვინდობდნენ და გვინდობდნენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩვენ, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, შევინარჩუნოთ ერთიანობა ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით“, - განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

წვითარებისა და ახალი გამოწვევების ფონზე, დადგა აუცილებლობა მაქსიმალურად გაძლიერდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და სიმტკიცე შევინარჩუნოთ ჩვენს გუნდს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პარტიის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, ამავე დროს ჩვენ გვაერთიანებს მკვეთრად გამოხატული დირექტივები, ერთიანი ხედვები როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩვენ, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, შევინარჩუნოთ ერთიანობა ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით“, - განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.



უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გაზეთის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10262) 30 აპრილი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ მერაბ ჭანუყვაძე აირჩიეს



23 აპრილს, დაბა ურეკის კულტურის სახლში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართა.

21 აპრილს 6 წელი შესრულდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ დაფუძნებიდან. ბიძინა ივანიშვილის გარშემო გაერთიანდა საქართველოს მოსახლეობა, რათა შეეცვალა ჩვენს ქვეყანაში მანამდე არსებული რეალობა. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ცვლილება, უპირველეს ყოვლისა აისახა მეტი თავისუფლების მოტანაში და ეს თავისუფლება დღეს ყველა ნაბიჯზე იგრძნობა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობს ქონებას, არ ირღვევა ადამიანის უფლებები ყოველ ნაბიჯზე, მოსახლეობას აღარ აქვს ხელისუფლების შიში და რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის

რატომ გაუნაწყინდა მუნიციპალიტეტს სოციალურად დაუცველი მადონა მუხაშაპრია და სოციალური სამსახურის უფროსის კონსტაზე ვის კანდიდატურას უჭმრის მხარს

ალიონი. 25 აპრილს, გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში, ქალბატონი მადონა მუხაშაპრია მოვიდა.

საკუთარი ინიციატივით მოვიდა. არავის გამოუგზავნივარ. თქვენს გაზეთს პატივს ვცემ იმის გამო, რომ 1931 წლიდან გამოდის და უძველესი გაზეთია, მაგრამ ბოლო ნომერში დაბეჭდილი სტატია („აბსურდის თეატრი თუ მიზანმიმართული დევნა“ რედ.) რომელიც მუნიციპალიტეტის მერი-ში მიმდინარე პროცესებს ასახავდა, არ მომეწონა და მინდა ჩემი პოზიცია დაგავიქსირო და თან ჩემი პრობლემებიც გაგაცნოთ:

ადრე სოფელ ძიმითში ვცხოვრობდი. პროფესიით ექთანი ვარ. ვმუშაობდი ძიმითის საექიმო უბანში, ასევე ნაბეღალში და სეზონურად კურორტ ბანაშორში სპეციალისტის მიხედვით. ძიმითში საცხოვრებელი პირობები არ მქონდა. სახლი სადავო იყო. მამა მათეს მრევლი გავხდი. მისი დახმარებით კვირიკეთის ყოფილი მართალია, არ არის ცხოვრების სათანადო პირობები: არ მაქვს წყალი, არაა არანაირი სველი წერტილი, ბუნებრივი აირი, მაგრამ სხვა წასასვლელი არ მაქვს. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ოზურგეთის ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერში ვარ აფხანლი აღრიცხვავზე...

ნაციონალური მთავრობის მიერ დაწესებული ყოველწლიური ერთდროული დახმარების ადრე-

სატი ვიყავი, ვიდრე ის მთავრობა იყო. 9 წლის განმავლობაში ვიღებდი მათგან დახმარებას.

2012 წელს ახალი მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში. 5 წლის განმავლობაში მე ეს დახმარება არ მიმიღია. გაგაკეთებდი ამ საბუთებს, მოეყრიდი თავს, მშვენიერ სალუქებზე რომა მუნიციპალიტეტში, ის ცალკე მარცხდება, მიმქონდა სრულყოფილად. დახმარებაზე ყოველთვის უარს მეუბნებოდნენ და არ მაძლევდნენ.

—რა სახის დახმარება უნდა მიგელოთ?

—ყოველწლიური დახმარება 200 ლარის ოდენობით.

—მერიის ხელმძღვანელებისთვის არ მიემართათ?

—უფროსებთან რომ გამერკვია, ბევრი სიორიქე და მის მოადგილეებს ადვილზე ვერ ვნახულობდი. არანაირი ზნეობაში არ ვდებ, რასაც ბევრი სიორიქე და სხვები მიკეთებდნენ, ასევე ეს სოციალური სამსახურიც. წლების განმავლობაში მე ეს ხალხი მძარცვავდა. 2012 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად შემქონდა განცხადებები. შევიდოდი სოციალურ სამსახურში, აწვედა ხელს უფროსი და „იციკებოდა“ მეორეკლასელ გოგოსავით. წლების მანძილზე დაგროვილი 1000 ლარი აქვთ ჩემი ვალი...

—სხვა უფლებებისდამცველ ორგანიზაციებს თუ მიმართავთ?

—2014 წელი იყო. მიმა საკავშირე იყო ჯერ კიდევ პრეზიდენტად. „ლიბერთი ბანკში“ მივედი პენსიის ასაღებად და მითხ-



რეს, რომ დავალიანება გაქვსო-პენსია არ მომცეს. მიზეზი კი ადრე გატანილი სესხი იყო, რომელიც მე სრულად მქონდა დაფარული. მივედი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში, თამაზ ტრაპაძესთან. ავუსხენი ჩემი მდგომარეობა. მისი თხოვნით ბანკიდან დავალიანების ცნობა მივეუბნენ.

—ეს თემა კრიმინალია და სამართალდამცავებს უნდა მიმართო, - მირჩია თამაზ ტრაპაძემ.

მე რატომღაც არ მიმიმართავს... —კონსტანტინე შარაშენიძე არ გეხმარებოდით, როცა ოზურგეთის გამგებელი იყო?

—ვინ გააჩერა, რომ დამხმარებოდა. სტიქიამ როგორც კი დააზიანა ჩემი საცხოვრებელი სახლი,

კოტემ მაშინვე ოპერატიულად მიიღო ზომები და სახლი გადაასურვინა.

კიდევ გიმეორებთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მე დახმარება არ მიმიღია... (!!).

—თუკი გადაიხურეს, რატომაც კვლავ პრობლემა?

—კი გადახურეს, მაგრამ ხელოსნებმა გადახურვის დროს შიფერი დაზიანეს და წყალი ჩამოვიდა.

—შემდეგ ქალაქის მერიამ ხომ გადაიხურათ?

—ერთი წელი მაწვალეს და შემდეგ გადამიხურეს. მართალია ჩემს ოთახებში წყალი არ ჩამოვიდა, მაგრამ სხვა ოთახები არ

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამკლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქციური
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელია
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმბათი აციონზე
«ალიონით»

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძე აირჩიეს



აზე. კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ: პარტიის გენერალური მდივანი, ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გიორგი კობახიძე; საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე. კონფერენციას 300 დელეგატი ესწრებოდა, რომლებმაც პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ მერაბ ჭანუყვაძე ერთხმად აირჩიეს. ბიუროს წევრებად აირჩიეს: არჩილ თალაკვაძე, გიორგი ღურჯუელიძე, რუსუდან მეგრანიშვილი, იოსებ ერქომაიშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე. კონფერენციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის დელეგატებიც აირჩია.

გიორგი ღურჯუელიძის თქმით მერიასში მოზილოვის პროცესი კანონის უზუღვამყოფით განხორციელდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 38 თანამშრომელს, სავარაუდოდ, ხელფასი შეუმცირდება - საჯარო სამსახურის ბიურო მოზილოვის პროცესის, რანგირების შესაბამისად, გასწორებას ითხოვს. 24 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთხების გარდა დამატებით მუნიციპალიტეტის მერიასში თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრულ საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ მიიხილეს. პროექტის, რომლის ინიციატორიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაა, საკითხის სახით განხილვა დაევალა კომისიებს და ფრაქციებს. საკითხი იურიდიული სამსახურის უფროსმა ლაშა თავაძემ წარმოადგინა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა რიგ რანგებში, ასევე, რამდენიმე თანამდებობის კატეგორიის ცვლილება, რაც მოქმედ კანონს უნდა მიესადაგოს. ეს კი, აუცილებლად გამოიწვევს ხელფასის ცვლილებას. ლაშა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესო ქათამაძემ თქვა, რომ ყოფილ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სანამ არჩევნები იქნებოდა, მანამ ჰქონდა განსაზღვრული, ვინ სად

განია ცეტიშვილმა საშუალო შესვენრა გაართა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, განია ცეტიშვილმა და გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მერებთან, საკრებულოების თავმჯდომარეებთან და მათ მოადგილე-ბთან საშუალო შესვენრა გაართეს. შესვენრაზე განიხილეს მხარეში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. დასახეს პრიორიტეტული მიმართულებები. ასევე, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე და თანამშრომლობაზე.



შესვენრა ტურიზმის განვითარების საკითხებზე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგისათვის“ ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა გაიმართა, რომელიც ამჯერად აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოცხადებული მცირე გრანტების კონკურსს დაეთმო. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, გურიის გუბერნატორი, მერაბ ჭანუყვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, ალექსანდრე სარიშვილი, პროექტის დირექტორი ნანა თავდუმაძე, ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წარმომადგენელი, მინდია სალუქვაძე და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენლები, ირინა ცინცაძე და გიორგი ავაზაშვილი ესწრებოდნენ. სამეთვალყურეო საბჭომ პროექტით დაგეგმილი საგრანტო კონკურსის დოკუმენტაცია განიხილა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელა. მცირე გრანტების პროგრამის მთავარი მიზანია ტურისტული ინტერესის მქონე საჯარო ადგილების უსაფრთხოების, მიმზიდველობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ადგილებზე ტურისტული ნიშნების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ან ტურისტული ღირსშესანიშნაობების განვითარება, გურიის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის მიმართული ღონისძიებების მოწყობა, ტურიზმის

სფეროში დასაქმებული ადამიანების საქმიანობის ხელშეწყობა, არსებული ტურისტული სექტორის განვითარება, ადგილობრივი სოფლის პროდუქციის მომზადების პროცესის ტურისტულ პაკეტად შეკვრა და შემდგომ რეალიზაციაში დახმარება. აღნიშნულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გურიის რეგიონში არსებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, ასევე გურიის რეგიონში მცხოვრებ ფიზიკურ პირებსა და არსებულ საინიციატივო ჯგუფებს. მცირე გრანტების კონკურსს ადმინისტრირებას ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი უწევს. პროგრამის ღირებულება ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ოფისში 30 აპრილს, 13:00 საათზე გაიმართება, სადაც კონკურსის მონაწილეები აპლიკაციის გაგზავნის პროცედურებს გაეცნობიან. წარდგენის ბოლო ვადაა 25 მაისი. პროექტს „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ევროკავშირი აფინანსებს, რომელიც უპრეცედენტოა და მიზნად ისახავს გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. პროექტს ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები ორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან ერთად ახორციელებს.

ელექტრონული კაბინა ეალე ამოქმედება



ვულოცავ ოზურგეთის საკრებულოს კიდევ ერთ მიღწევას, საკრებულო 2017 წლის ყველაზე ღია და ანგარიშგაღებულ საჯარო დაწესებულებებს შორის დასახელდა. თვითმმართველობის ინდექსის რეიტინ-

გით, პირველი ოზურგეთის საკრებულოსთვის ეს არის დამატებითი მოტივაცია, შეინარჩუნოს და მომავალშიც გააგრძელოს საქმიანობა გამჭვირვალობის და მოსახლეობის წინაშე ანგარიშგაღებულების მიმართუ-

ლებით. - ამ განაცხადებით გახსნა ბიუროს სხდომა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.

მანვე ელექტრონული პეტიციის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომლის პრეზენტაცია არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წარმომადგენელმა მინდია სალუქვაძემ გააკეთა.

ელექტრონული პეტიციის ამოქმედებამდე რეგლამენტში ცვლილებები იგეგმება, საკითხი ბიურომ მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეიტანა.

ელექტრონული პეტიციის პლატფორმა არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლობით უკვე შემუშავდა და მისი ინტეგრირება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.ozurgeti.mun.gov.ge მოხდება.

გაიყიდა თუ არა საფეხბურთი კლუბი „მერცხალი“



ალიონი. გაიყიდა თუ არა საფეხბურთი კლუბი „მერცხალი“? ეს თემა ბოლო დღეებში აქტუალური გახდა. რეგიონალურ ჩემპიონატში მონაწილეობის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბის გულშემატკვრები მტკიცებულად განიცდიან რამდენიმე წლის განმავლობაში „მერცხალის“ წარუშტებელ გამოვლენას საქართველოს ერთ-ერთ ჩემპიონატში და პრობლემის გადაჭრის გზებს ეძებენ, მით უმეტეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი სესიის კლუბების კრებო და მფლობელობაში გადასვლას და გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც გეგმავს. გასულ სამშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ მთავარ მწვრთნელს სარიტონ ჩხატარაშვილს მოუსმინეს.

სარიტონ ჩხატარაშვილმა ფრაქციის წევრებს ის დადებითი მომენტები გააცნო, თუ რა ზომები უნდა გასწვიდეს საფეხბურთო კლუბი და კრძო მფლობელობაში გადაეცეს. მანვე ისაუბრა ბაგუთა ფეხბურთის განვითარებაზე.

—ვიღოთ სოფელი ასკანა, სადაც მტკმა ჩხატარაშვილმა შესანიშნავი საფეხბურთო მოედანი მოაწყო. თუკი მწვრთნელს აფეხვანთ, შესაძლებელია იქც ისეთივე წარმატებები გვაქონდეს, როგორც სოფელ ბაგუთაში გვაქვს. ვადაზრდავთ ვეტერან ფეხბურთელებს და 250 ბავშვს მოვაზრდებთ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, ორბიდეულ საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეროდი გორდელაძემ დასვა კითხვა: —კი ბატონო, საფეხბურთო კლუბი გადაეცეთ კრძო პირს, მაგრამ სტადიონი მუნიციპალიტეტს უნდა არჩინოს? თუ ფეხბურთის ფედერაცია 50 ათასი ლარით გაფინანსებთ, რატომ გაქვთ პრობლემები გაუცემელ ხელფასებთან დაკავშირებით?

—ამ თანხიდან 25 ათასი ფეხბურთელებზე იხარჯება, ხოლო 25 ათასი კვებაზე —უკასუსა ხარიტონ ჩხატარაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვაგიამ განმარტა, რომ ფრაქციამ ცალ-ცალკე მოუსმინა კლუბის გენერალურ დირექტორს მურთაზა აბაშიძეს, დირექტორს მამუკა გოგუაძეს და სამთავრო ერთ პოზიციაზე არიან, რომ კლუბი უნდა გაიყიდოს. არ თქვია შესაძლო, დაპირისპირების შესახებ, რაც კლუბშია, რამაც განაპირობა დირექციისა და მთავარი მწვრთნელის ცალ-ცალკე მოსმენა.

ფრაქციის სხდომაზე კლუბის შესაძლო შემოსულობები ლუკა კვჭავაძემ დასახელდა, რომელიც მათი თქმით, პირობას დებს ყოველწლიურად 50 ათას ლარ ინვესტიციას ჩაღებს კლუბში.

საბოლოოდ ფრაქციამ კლუბ „მერცხალის“ გაყიდვის თემა დადებითად შეაფასა.

შემდეგ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს შპს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-„მერცხალი“ დაფუძნებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მერმა ნარუჯელს ამორტიზებული გზების რეაბილიტაციის პირობა მისცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ნარუჯელში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მერმა დაბის პირველი რაიონის მაცხოვრებლებს ამორტიზებული გზების რეაბილიტაციის პირობა მისცა.

ნარუჯელ-ლათურის დამაკავშირებელ ამორტიზებულ გზაზე შ.პ.ს. „ტექნოსერვის“ მიერ გზის პროფილები მოეწყო.

აღნიშნული გზის 100 მეტრიანი მონაკვეთზე რკინა-ბეტონის საფარი დაიგება.

კონსტანტინე შარაშენიძე ნარუჯელში მე-6 რაიონის მოსახლეობასაც შეხვდა. ადგილობრივები ნარუჯელ-ჩოლოქის დამაკავში-



რებელი გზის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის ითხოვენ.

შიდა სასოფლო გზის რეაბილი-

ტაცია დაიწყება.

მოსამზადებელ სამუშაოებს შ.პ.ს. „ტექნოსერვი“ განახორციელებს.

რატომ გაუნაწყენდა მუნიციპალიტეტს სოციალურად დაუცველი მადონა მუხამაგვრია და სოციალური სამსახურის უფროსის კოსტაზე ვის კანდიდატურას უჭერს მხარს

გადაუხურავთ და იქ წყალი ჩამოდის...

საჯარო მოხელე უნდა იყოს სადა, მოწესრიგებული, რომელიც არ იღებება. ძალიან ბევრია, ვისაც შეუძლია ეს ღუმბაძე ჩანაცვლოს. იქ ნათია ვაშალიძემ, რომელიც ნაციონალების დროს მაგ სამსახურში მუშაობდა და იმ მთავრობას არ მოუტყუებდით არაფერში, თუ ნათია დანიშნავენ, მე არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს. წავიდეს ღუმბაძე და თეატრში იმუშაოს რეჟისორად.

რედაქცია დაინტერესდა, თუ რა სახის დახმარება მიიღო სახელმწიფოსაგან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მადონა მუხამაგვრიამ.

როგორც გაირკვა, მას დაბალი სარეიტინგო ქულა აქვს. სოციალური მომსახურების სააგენტოდან იღებს სოციალურ დახმარებას და ჯანდაცვის პროგრამის სრული პაკეტით სარგებლობს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის უფროსმა თამარ ღუმბაძემ, ჩვენი კითხვების საფუძველზე, შემდეგი სახის განმარტება გააკეთა:

— ჩვენ არც ერთი მოქალაქის განცხადებას უყურადღებოდ არ ვტოვებთ. ქალბატონ მადონა მუხამაგვრიას ვიცნობ. 2016 წლის თებერვალში მან მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო განცხადებით მოგმართა დახმარებისათვის. მძიმე საცხოვრებელი პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამის

ფარგლებში, შესაბამისი უფლებამოსილი სამუშაო ვაკუუის დასკვნისა და იმ-ჟამინდელი ვიცე-მერის ბრძანების საფუძველზე, (ბრძანება № 457, 22.03.2016 წ.) მუხამაგვრიას 250 ლარი ჩაერიცხა. იმავე წელს, როგორც შპმ პირს, ასევე ჩარიცხული აქვს 200 ლარი.

ამის შემდეგ, 2017 წლის ივლისში მან კვლავ მიმართა ქალაქ ოზურგეთის მერიას საცხოვრებელი პირობებთან დაკავშირებით. ეს წერილი მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის სამსახურმა შეისწავლა. ამ დროისათვის ქალაქ ოზურგეთში, ყოფილი სამშობაო სახლის გარემონტებულ შენობაში ყველა ბინა გაკეთებული იყო უსახლკარო ოჯახებზე. მერიამ მადონა მუხამაგვრია შეიყვანა საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებლათა მონაცემთა ბაზაში და აიყვანა აღრიცხვაზე.

შემდეგ, გასული წლის დეკემბრის ბოლოს შემოვიდა მუნიციპალიტეტში მისი განცხადება, სადაც იგი კვლავ ცუდ საცხოვრებელი პირობების მოთხოვნებს. საცხოვრებელი ბინების რემონტი მუნიციპალიტეტის მერიის სხვა სამსახურის უფლებამოსილებათა.

თუკი მადონა მუხამაგვრია მუნიციპალიტეტის მერიას მიმართავს განცხადებით ფინანსური დახმარების შესახებ, განვიხილავთ და ვიმოქმედებთ კანონის შესაბამისად.

მოძღვენი დღეს მადონა მუხამაგვრია კვლავ გვეწვია რედაქციაში. კითხვაზე, 2016 წელს მიიღო თუ არა მან 250+200 ლარის დახმარება, შემდეგნაირად გვიპასუხა:

—მე არაფერზე ხელი არ მომიწერია და არ მიმიღია. რატომ გამოდის კოტე შარაშენიძის წინააღმდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი შალვა თავიშვილი, ძიძიოელი კაცი, საიდანაც კოტე შარაშენიძის დედა არის, შეიძლება ასეთი ქალბატონის შვილის წინააღმდეგ გამოვიდეს? ქალბატონი როზა გოგუაძე ოზურგეთის მშენებელთა თაივის მორალით და ოჯახისწილობით.

ნათია ვაშალიძემ წინა ხელისუფლების დროს შეხმარებოდა. ფულად დახმარებას შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვიღებდი. ერთხელ, როცა კბილებს ვიკეთებდი და შემის ღუმელის ვალიც მქონდა 100 ლარი, მისი შუამდგომლობით 400 ლარი დახმარება მივიღე. არ შეიძლება არ აღვნიშნო იმჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომარის ვლადიმერ სურგულაძის ყურადღებაც...

ქალბატონი მადონა მუხამაგვრიას აზრით, კარგი იქნება, თუკი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ბიუჯეტიდან გამოყოფს სახსრებს, ხელახლა გადახურავს და გაარემონტებს კვირიკეთის ყოფილი რეაწლიანი სკოლის შენობას, შეუქმნის ცხოვრებისთვის ელემენ-

ტარულ პირობებს და იქ უსახლკარო მოქალაქეებს შესახლებს.

—თუკი შენობას მოაწყოვენ და უსახლკარო მოქალაქეებს შესახლებენ,

კარგი იქნება. მით უმეტეს, საკმაო მიწის ფართობია, სადაც იქ მცხოვრებლებს საბოსტნე მურნეობის მოწყობაც შეეძლებათ, —გვითხრა მადონა მუხამაგვრიამ.

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორს ბატონ ნუგზარ ასათიანს

თქვენი 25.04.2018 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ რომ, მოქალაქე მადონა მუხამაგვრიას მიერ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შემოსულია რამდენიმე განცხადება, კერძოდ:

1. 12.06. 2015. განცხადებით ითხოვდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ბარათზე ქულების დარიცხვას, რაზეც მოხდა ქულების დარიცხვა.
2. 02.02. 2016. შემოვიდა განცხადებით, რომელშიც ითხოვდა დაზიანებული სახლის სახურავის შეკეთებას, რაზეც ინფრასტრუქტურის სამსახურისგან მიღებული აქვს საპასუხი წერილი, რომ თანხის უქონლობის გამო იმ უტაპისთვის ვერ ხერხდებოდა სახლის სახურავის რემონტი და განცხადება აფხანილი იქნა აღრიცხვაზე.
3. 24.02. 2016. განცხადებით შემოვიდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო, რაზეც გაეწია ფინანსური დახმარება - 250 ლარის ოდენობით.
4. 22.04 2016. განცხადებით შემოვიდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სადაც ითხოვდა ასევე დახმარებას და კვლავ გაეწია ფინანსური დახმარება პირველი ვაკუუის შპმ პირთა პროგრამიდან - 200 ლარის ოდენობით.
5. 22.04.2016. განცხადებით ითხოვდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ბარათზე ქულების დარიცხვას, რაზეც დაერიცხა ქულები.
6. 25.04.2017. ისევ შემოვიდა განცხადებით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სახლის სახურავის გადახურვის თაობაზე, რაზეც უარი ეთქვა თანხის არქონის გამო.
7. 10.07.2017. განცხადებით მიმართა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას საცხოვრებელი ფართის დაკანონების თაობაზე და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ აფხანილი იქნა აღრიცხვაზე.

ზოგადი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სტატისტიკის და ადგილობრივი არქივის განყოფილება (№5132, 27.04.2018)

კაცი, რომელიც ყველაზე დიდ სიყვარულს ატარებდა



ნენ, რას და რატომ არქმევდნენ თავიანთ პირად პირში და არც შემცდარან. საყვალას (საყვარლას) ეძახდნენ მოფერებით მშობლიური ოზურგეთელები, უსაშველოდ უყვართ და იმიტომ! არის ლოგიკა იმაში, რომ ამ სახელის (საყვარელ, საყვალა, საყვარლა) მქონე ეს ღვთისნიერი კაცი ყველგან, ყველა დროსა და ბრუნვაში, სრული ასპექტით, ყველაზე დიდ სიყვარულს ატარებდა. ასეთ მისიას კი, მხოლოდ ერთეულად გამოჩნეულეს ანიჭებს უფალი.

ერთი საოცრება აღმოვაჩინე ჩემამდე მოღწეულ მის ბიოგრაფიაში: არსად უმუშავია... სადაც მივიდა, სადაც გამოჩნდა, ყველგან იღვწა! დიას, იღვწა და ისეთი კვალი დაამჩნია, ნაღვანო რომ ჰქვია და არა ნამუშევარი, ქალაქის თავი იყო, მთავარი თუ არამთავარი არქიტექტორი, ყველგან შემოქმედებითად უდგებოდა თავის საღვანეს, საღვანე კი სხვა არაფერი იყო, ოზურგეთისა და ოზურგეთელების გარდა.

რომ არა საყვარელ სალუქვაძე, ოზურგეთის ნამდვილად დაკლებოდა სხვებისგან განსხვავებული, მშვენიერი, პატარა ქალაქის პეიზაჟი, არქიტექტურული ხიბლი, ოზურგეთის შესისხლხორცებული ამ კაცის იშვიათი კოლორიტული ინტელექტი...

კი, ბევრი მოასწრო, მაგრამ რაც სამუშაო მაგიდაზე პროექტების სახით დარჩა, მათ, ალბათ, ქალაქის სივრცეში და მის ფარგლებს გარეთაც რეალობად აქცევენ თავისი კოლეგები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

ზუსტი და მოზომილი სიტყვა ჰქონდა. საუბარში, პირველივე წინადადიდან გადავადებდა თავის სიმშვიდეს, რითაც ასევე გამოირჩეოდა ყველასგან. კარგი წიგნი გამოვიცაო, - ჩემი მეორე კრებული შემეძო ერთხელ. მოულოდნელობისაგან შევცბი, მაღლობაც ვერ ვუთხარი ხეირიანად, არადა, ეს სამი სიტყვა

მერჩია ყველა იმ რეცენზიას, რაც ამ წიგნზე დაიწერა, არა იმიტომ, რომ ქების შემცველი იყო, არამედ იმიტომ, რომ ვიცოდი, ვინც მითხრა და როგორ მითხრა.

წლებადღელ ზამთარში, მისი სახით, ბუმბერაზი კაცი დაიტირა ოზურგეთმა. ბოლო წლებში ჩვენს ქალაქს არ ახსოვს ესოდენ რეზონანსული გლოვის ხარი, სადაც სამძიძარს იღებდა დიდი და პატარა, არა მხოლოდ ოზურგეთი და გურია, არამედ ლამის მთელი საქართველო, ვინაც იცოდა ამ კაცის ვერ კიდევ ბოლომდე შეუფასებელი ღვაწლი.

ზომ დიდი იყო მგლოვიარეთა მწუხარება, მაგრამ უფრო დიდი იყო მათი სიამაყე. სამოცდაექვსი წლის კაცი ვარ და ასეთი ამაღლებული გლოვა იმ დღემდე არ მენახა. ჰქონდათ საამისო საბაბი, რამეთუ სამუდამო სასუფევლისკენ მიაცილებდნენ კაცს, რომელმაც საკაცობრიო ამაგი დასდო მშობლიურ ოზურგეთს.

ზღვაში წვეთია, რაც ახლა საყვარელ სალუქვაძეზე ვთქვი. ერთ წერილი, თანაც მოგონება, როგორ დაიტევს ამ კაცის მიერ რულუნებით შექმნილ ამოდენა ნაღვანეს?! ვიშელოვებ, უფალი შემადლებინებს, რომ სხვა ყანრში, რამდენადმე სრულყოფილად წარმოვადგინო მისი, როგორც უკეთილშობილესი პიროვნების, ერუდირებული მოღვაწის, კვიცი გვარზე რომ უხტის, წუთისოფელი რომ შევნობდა და წუთისოფელს რომ შევნოდა, ისეთი ჯიშმანი ქართველი კაცის წერილობითი პორტრეტი.

და ბოლოს, თუ ვინმეს ხსოვნის სანთელს ჩაქრობა არ უწერია, ასეთი, უპირველესად, საყვარელ სალუქვაძის ხსოვნის სანთელი იქნება, მეტიც, იგი მარადჟამს სხვასაც გაუნათებს უკუნს, გაათობს კიდევ მრავალს...

თამარ მარგანიშვილი.

საკაუსე სმეტი დაბრინებული რეპლიკა „ფრილომ კაუსს“

გამარჯობა, ბატონო!
ვერ გეტყვით, რომ მოხიბლული ვარ თქვენი „ვოკალით“, ანუ გარდაშვალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების შესახებ თქვენ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოზე შეტანილი ინფორმაციებით, განსაკუთრებით იმ ნაწილისა, რომელიც მდიას შეეხება. საქმე ისაა, რომ ამ მიმართულებით თქვენი კვლევები, მსუბუქად რომ ვთქვათ, ტენდენციური და არაობიექტურია, უკიდურესად შორს დგას რეალობიდან, მეტიც, შეგნებულად განხორციელებული დემაგოგიის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ გავრცელებული თქვენი ინფორმაცია, რომ თითქოს მისმა ახალმა დირექტორმა დახურა მეორე არხი, რომელიც პირდაპირ ეთერში პარლამენტის სხდომებს გადასცემდა, ჩემი აზრით, დიდად არაფრით ჩამოუვარდება საკაუსელისდროინდელ მოდელირებულ „ქრონიკას“, რომელიც, რამდენადაც მასსოვს, მაშინ მსოფლიო ტყუილების ათეულში შეიტანეს.

თუ ნამეტნავად არ შეშოთთებით, გეტყვით, რომ თქვენგან განსხვავებით, ჩვენი მდიასმაუალებები დაუშუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისათვის, პირდაპირ თუ არა, ირიბად, ხანდახან მაინც იხდიან ბოდიშს, თქვენ კი, თქვენი ამ ცრუ ინფორმაციებისათვის, ბოდიშის მოხდა კი არა, აქეთ მოგვანჭებით უტიფრად, თქვენმა არასამთავრობოებმა მოგვანჭდეს ეს ინფორმაციები. ვერ ერთი, თქვე დალოცვილებო, ინფორმაცია რომ გადამოწმება უნდა, „განვითარებადი“ ქვეყნის წარმომადგენლებმა უნდა შევასხინოთ „ზეგანვითარებულს“?! და მეორეც, თუ მართლა საფუძვლიანი კვლევის პრეტენზია გქონდათ, ისიც უნდა გვიცხნოდათ, რომ ხსენებული თქვენი ინფორმაციები - არასამთავრობოთა უბეტესობა შექმნილია და დაკომპლექტებულია წინა ხელისუფლების წარმომადგენლებით და ისინი, დღევანდელი მთავარი ოპოზიციური პარტიის მსგავსად, ოპონირების ნაცვლად, თავხედურად საბოტაჟს ეწევიან და ამ გზით ძირს უთხრიან საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

პირდაპირ გეტყვით, მე რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის ადგილზე ვყოფილიყავი, სასამართლოს გზით პასუხს მოვთხოვდი მსოფლიო მასშტაბით ცრუ ინფორმაციების გავრცელებისა და ცილისწამებისათვის. მერე რა, რომ შეცდომა აღიარეთ და გაასწოროთ, ისიც ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის საყვარლად სამართლიანი პროტესტის შემდეგ?! დაღვრილ წყალს არაფერი შეგლის, შეცდომების გასწორება გაზეთში არ იძლევა შედეგს, არამც თუ ასეთ მასშტაბურ კვლევებში.

ახლა ვენებს ვერ გადავიჭრი იმის მტკიცებით, რომ ქართული მედია თავისუფალია, მაგრამ ვერც იმას დავგვიკრებთ, რომ ამ თვალსაზრისით, ქვეყანაში მდგომარეობა გაუარესებულია და განსხვავებული აზრი იდევნება. მოტივით - დემოკრატიის განვითარებას საფრთხე ეუბნებოდნენ, თქვენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის ცვლილება, „იმიდისა“ და „მეისტროს“ დღევანდელი ხელისუფლებისადმი ნაკლებკრიტიკულობა გამოვლით, მაშინ, როდესაც თავის დროზე კრინტიც არ დაგიძრავთ „იმიდის“ ბარბაროსულად დარბევზე, „ობიექტივის“ სატელევიზიო სივრციდან გაქრობასა თუ სხვა მედიასაშუალებებისათვის ლაგამის ამოღებაზე, მონოპოლიზებაზე.

იმედია, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბოლდში განხორციელებული ბოლო ცვლილებები დაგამშვიდებთ ცოტას, რადგან აქ ოპოზიციის მიერ წარდგენილი და პარლამენტის მიერ ლამის ერთხმად არჩეული ახალი წევრი თქვენთვის სასურველი „ინინას ბაღის“ შენებას შეუდგება მალე.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, როგორც ერთ რიგით ეურნალისტს, ერთ კვლევაში აძღვნი სიცრუის დახვავების, მიკრობუბუბობის, აშკარად გამოხატული ტენდენციურობის გამო, აღარ მჯერა თქვენი. თქვენ რატომღაც მხოლოდ ამ ბოლო წლებში გავიძახვდით მსუფვლობა, თანაც იმდენად, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების თვალში ბევრსაც კი ხედავთ, მაშინ, როცა ძველისაში დირეს ვერ აჩნევდით.

მოკლედ, რაც თქვენ ჩაატარეთ და გამოაქვეყნეთ, ამას კვლევა კი არა, სხვა ქვეყანაში თქვენთვის სასურველი პოლიტიკის გატარების მცდელობა ჰქვია. ამიტომ, ტყუილად ნუ იბრალბთ დამოუკიდებლობას და ობიექტურობას, ნუ იკრებთ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის იარაღს.

თამარ მარგანიშვილი

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში 450 000-ზე მეტი განცხადება წარმატებით დარეგისტრირდა



მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, მოქალაქეებისთვის უფასო შემდეგი სერვისები: საჯარო რეესტრის მიერ მოქალაქის ინტერესში დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება; საწოტარო მედიაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია, საკადასტრო აზომებით ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება.

რეფორმის ფარგლებში, საჯარო რეესტრი პროაქტიულად ეხმარება მოქალაქებს საბუთების მოძიებაში, ეროვნული არქივიდან თუ შემოსაგლების სამსახურიდან სხვადასხვა ამონაწერის გამოთხოვაში, გადაფარვების გამოწერებაში და სხვ. ამ ეტაპზე, საკუთრების აღიარებისთვის შესაბამის კომისიაში 23 ათასამდე განცხადება გავზავნილი, 60 000-ზე მეტ განცხადებაზე საჯარო რეესტრი

მოქალაქის ნაცვლად უფლებიდაძღვენ დოკუმენტაციას სხვადასხვა უწყებაში თავად იძიებს. ასევე სადავო მიწის ნაკვეთებზე ნოტარიუსთან უფასო მედიაციას საჯარო რეესტრი მოქალაქებს თავად უნიშნავს, რის შედეგადაც 1000-ზე მეტი ქსური საქმე მორიგებით დასრულდა. აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის სერვისით უკვე 1800-ზე მეტმა მოქალაქემ უფასოდ ისარგებლა

კანონი მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ, რომელმაც მიწის რეგისტრაცია გამარტივა და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადა, 2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა და ძალაშია 2018 წლის 1 ივლისამდე.

მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ოუსტციის სახლეს, საჯარო რეესტრის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს.

როგორ უმეღვებენ მოქალაქეები ინტერნეტის ხარისხის უმეღვებას

მოქალაქეები უახლოეს მომავალში ინტერნეტის ხარისხის უმეღვება-კონტროლს შეძლებენ. ამის შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურმა კომისიის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნულს მოქალაქეები საეციალური აბლიკაციის მეშვეობით მოახერხებენ, რომლის ჩამოტვირთვაც კომისიის ვებ-გვერდიდან იქნება შესაძლებელი.

„კომისია უკვე 10 თვეა მნიშვნელოვან პროცესს ახორციელებს. პროექტი, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, ინტერნეტ ხარისხის კონტროლის მექანიზმს ქნის. ამ პროექტის მეშვეობით, მომხმარებელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინტერნეტის ხარისხს. კერძოდ, მას ექნება ინსტრუმენტი, რომლითაც რეგულარულად გაზომავს და შეადარებს მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული



ინტერნეტის სიჩქარე რეალურ სიჩქარეს რამდენად აკმაყოფილებს. აბლიკაციის ჩამოტვირთვა, რომლითაც ინტერნეტის ხარისხს გაზომავს, კომისიის ვებ-გვერდიდან იქნება

შესაძლებელი და მომხმარებელი დღის ნებისმიერ მონაკვეთში თავად შეძლებს ინტერნეტის ხარისხის კონტროლს“, - განაცხადა ბექაურმა.

ბექაურის განცხადებით, სისტემის ამუშავების შედეგად მომხმარებელს კომისიისთვის საჩივრით მიმართვა აღარ დასჭირდება, რადგან სისტემის დანერგვის შემდეგ, კომისია პროცესს 24 საათიან რეჟიმში დააკვირდება და მომხმარებლების ინტერესები სრულად იქნება დაცული.

„სადაც კომისია აღმოაჩენს, რომ პროვაიდერი აბინენტს უსარისხო ინტერნეტს აწვდის, ოპერატორის მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას დაიწყებს. მათ შორის ფინანსურ სანქციებსაც გამოიყენებს. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმის ამუშავების შემდეგ, ისე დავალებთ ბაზარს, რომ პრაქტიკულად უკმაყოფილო მომხმარებელი აღარ იქნება“, - აღნიშნა ბექაურმა.

წერილი მეთერთმეტე

სიყვარული

უსსოვარი დროიდან დღემდე ბოლომდე ვერაინ ვერ გასცა სრულყოფილად პასუხი რიტორიკულ კითხვაზე რა არის სიყვარული, მათ შორის ისეთმა გენიოსებმა, როგორებიც იყვნენ სოკრატე და პლატონი.

ყოველივე ამის მიზეზი არის სულსა და მის თვისებებში გაუცნობიერებლობა, მათში ჩაუღრმავლებლობა და თითოეული მათგანის მნიშვნელობაში გაურკვევლობა.

როდესაც საუბარს ვიწყებთ სიყვარულზე, პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ის, რომ იგი არის ორგანიზაციის - სულიერი სიყვარული და ფიზიკური სიყვარული. თითოეული თავისი საკუთარი ბუნება და კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია.

სულიერი სიყვარული არის სულის მეთორმეტე ძირითად თვისებას წარმოადგენს.

სულიერი სიყვარული ერთი კონკრეტული ხასიათისაა, ხოლო ფიზიკური სიყვარული მრავალგვარია და თითოეული სხვადასხვა შინაარსისაა. თითოეული ადამიანში ზის, როგორც ცალკეული ფიზიკური თვისება.

მაშაყაცისა და ქალის სპეციალური სიყვარულში ჩადებულია უსაბუთო გრძობა, რომელსაც თავისი სინატიფითა სიმძაფრით ადამიანების მიერ დღემდე გამყვანებული გრძობებიდან ვერც ერთი ვერ შეედრება.

სულიერი სიყვარული არის სიკეთე. იგი არის ბოროტების დართვევის, ერთმანეთის მხარში ამოღებით ყოველ-

გვარი პრობლემის გადაჭრისა და ცხოვრების სწორად მოწყობის იმედი და ბიძგის მომცემი.

სიყვარული იმდენად ბიძგის მომცემი გრძობაა, რომ იშვიათია ისე შეყვარებული კაცი ან ქალი, რომელიც ვინმეს მიმართ რაიმე ბოროტების ჩადენას მოისურვებს.

როგორც აღვნიშნეთ, სიყვარული არის სულის მეთორმეტე თვისება და მასსადაც მომდინარეობს სულიერი შეგნებიდან, სულთან და მის სხვა დანარჩენ თვისებებთან ერთად იგი არის მუდმივი და მარადიული თვისება.

არსებობს კეთილი და ბოროტი სული.

კეთილსა და ბოროტ სულსაც გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული თითო საკუთარი თვისება, - კეთილ სულს სიყვარული, ხოლო ბოროტ სულს სიძულვილი. განა შეიძლება სიყვარული ბოროტსაც შეეძლოს? ეს რომ ასე იყოს, მაშინ აღარავითარი განსხვავება არ იქნებოდა, როგორც კეთილსა და ბოროტ სულს შორის, ისე ფიზიკურ ცხოვრებაში კეთილ და ბოროტ ადამიანებს შორისაც.

სიყვარულს აძლიერებს ჭეშმარიტი თანაგრძობა, რამდენადაც თანაგრძობას მოაქვს ერთგულება და იმედი.

სიყვარულს ანგრევს გულგრილობა, ბუზღუნი, ცინიზმი და ყოველივე ამის საფუძველზე წარმოშობილი ეჭვიანობა, რამდენადაც ყოველივე ამას მოაქვს ერთგულებისა და იმედის დაკარგვა.

სიძულვილი

საუბელურად ასეობს სიძულვილი ადამიანის მიერ ადამიანსადმი, საგნისადმი და წარმოიდგინეთ, ზოგჯერ საკუთარი თავისადმისაც კი.

სიძულვილის ერთადერთი შემაჩერებელი არის სულის მეთორმეტე თვისება, - შიში. ეს თვისება, მასაც, ისევე როგორც ნებისმიერ ცოცხალ არსებას, აიძულებს მოუფრთხილდეს სიცოცხლეს; თუ არადა დასვეს შიში, ასეთი ადამიანი ისე ჩადენს უამრავ უსასტიკეს დანაშაულს, რომ, როგორც იტყვიან, თვალსაც არ დაასამშამებს. მტონი ინტერესობა არ იქნება ევოლუციის დიდ გზაზე როგორ იმადლებს შეგნებას კეთილი და როგორ იმადლებს ბოროტი.

კეთილი სულის ადამიანის მიერ შეგნების აძლევა ნიშნავს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასიკეთოდ გამოყენებას, როგორც თავისი თავისთვის, ისე სხვა ადამიანებისთვისაც.

ამის საპირისპიროდ, ბოროტი სულის ადამიანი ყოველგვარ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, იფენებს მხოლოდ და მხოლოდ, თავის მიერ ჩადენილი თუ ჩაფიქრებული მზაკრული საქმეებისა და მასსადაც საკუთარი პიროვნების უფრო უკეთ შესანიშნავად.

შემდგომ წერილში ჩვენ საუბარი გვექნება აზროვნების, იმუნოტეტის, ორიენტაციის უნარისა და რეფორმის საკითხებზე.

გურამ ცარცვაძე

„ჩვენ ვიკლევით“ ოზურგეთში გენდერული აქტივობით დაინტერესდა

კვლევითი ორგანიზაცია „ჩვენ ვიკლევით“ წარმომადგენლებმა ჩატარა შეხვედრა ოზურგეთის გენდერულად მემბობარე, გენდერულ აქტივისტებთან. ორგანიზაციის მკვლევარის თინათინ ხომერისკის ინფორმაციით კვლევა საქართველოს რამდენიმე ქალაქში ტარდება.

თინათინ ხომერისკი: ბიოლის ფონდის ინიციატივით ვმუშაობთ კვლევით პროექტზე, კვლევის მიზანია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გენდერული აქტივისტების საქმიანობა და მათი ურთიერთობა მედიასთან. ამაზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება.

კვლევა შედგება ორი ნაწილისაგან - მედიამონიტორინგი - მედიის სხვადასხვა საშუალებებს ვაკვირდებით სხვადასხვა ქალაქში რა სიხშირით აშუქებენ გენდერულ აქტივობებს, საკითხებს და უშუალოდ

ადგილებზე გენდერული აქტივობების კვლევა, შეხვედრები აქტივისტებთან. შევისწავლით ადგილებზე მათ გამოცდილებას მედიასთან ურთიერთობაში საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

კვლევის ძირითადი მიზანია ამ ურთიერთობების გაუმჯობესება.

“ ოთხ ძირითად ქალაქს შორის ოზურგეთიც მოხვდა. მკვლევარებს უკვე შეუძლიათ თქვან რომ დიდი უთანასწორობაა ცენტრსა და რეგიონებს შორის რესურსების წვდომის თვალსაზრისით. თუმცა გაშუქების თვალსაზრისით რეგიონული მედია უფრო სენსიტიურია.

არსებული სურათის დახატვის შემდეგ „ჩვენ ვიკლევით“ მასალებს გაასაჯაროებს პირველ რიგში, უფლებადამცველთათვის.

ლია პილაძე


„მერცხალა“ „ზანასთან“ ღათომ მატჩი

ალიონი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (რეგიონლიგა, „ბ“ ჯგუფი), მორიგ ტურში ოზურგეთის „მერცხალი“ აბაშაში ადგილობრივ „ზანას“ შეხვდა და წააგო მატჩი -0:2.

ამ ტურში სენაკის „ვერისმა“ და ბათუმის „მეტამ“ 0:0 ითამაშეს, ხოლო წაღწევის ხის „სკურმა“ ხულოს „ხიზანი“ 3:2 დაამარცხა.

„მერცხალს“ 5 ტურის შემდეგ (1 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება) 5 ქულა აქვს და ბოლო, მე-8 ადგილზე იმყოფება.

სკანვორდი



				ისტორიული მხარე საქართველოში						ღელმამიშვილი		
	პურის სოკო							პატარა ზომის ფრინველი		ჩ. ჩაპლინის მეუღლე		სესხი
												ვულკანი რუსეთში
				შავი ზღვის ძველი სახელი			ალანი					
	მწერალი ... მორჩილაძე									ბიჭის სახელი		
	მეხუთე ასო		სატელეფონო ტერმინი							იმერული შეძახილი		
				რძის ნაწარმი								თაფლოვანი მცენარე
	ღაბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში		ისარი				ინდიელი				უღაბნო ჩინეთში	რაინდი
				შხამიანი მცენარე	მარალონას სახელი	ანტ. ლიტერატ. ჟანრი			მეთოვანი მცენარე			მცირე ზომის ნავი
			ქალის სახელი	ალმის. ერთეული ღილ ბრიტანეთში								
	ციტრუსოვანი მცენარე			მწვერვალი აჭარა-გურის ქედზე								მხარე საქართველოში
							გატიანა მოფერებით		ყოფილი საბჭოთა დილოგატი	სამაგილო თამაში		
	ერთიანი ნარღში		ქალაქი ავსტრიაში	ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში								

№ 15-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი; ნარდის ინსტრუმენტი - კამათელი; გაკვირვების შეძახილი ინგლისურად - ვაუ; ლ. ქაჩელის პერსონაჟი - ბათა; შინაური ფრინველი - ბატი; იალქანის შემქმნელი - ვოლოსი; ჩამონათვალი - სია; მესამე პირის ნაცვალსახელი - იგი; ერთი დღის გზა - ევზიბი; საავტომობილო ფირმა - ვოლვო; დურგლის ინსტრუმენტი - ეჩო; ქალის სახელი - თეა; ზვიგენი - ნათელთევზა; ყველაზე ნელა მზარდი მცენარე - ბუზა; სითხის საზომი - კარჩხა; „ეკიმი“ ფრინველი - კოდალა; მოუხარმავე - უმი; წამლის ფორმა - აბი; ნორვეგიის დედაქალაქი - ოსლო; ლამბაქი - ფინჯანი; ჩონას რომ უხდება - ანალუხი; გადასახადით პროპორციული დაბეგვა - დერეუსია; მთაზე - ხაღუმი; მოქანდაკე - ქანდაკარი; ყვავის ნაშიერი - ბასალა; ლადიდის ოპერა - ლელა; ერთ-ერთი ერისთავი - ნერსე; დაწვული ღობე - ქარაბაკი; აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა - უშუ; ქალის სახელი - ნია; ზის ნაცვრი - მორი; „მამის მკვლელის“ პერსონაჟი - ნუნუ.

„აქაქელას ფრთებზე დაფერილი თავისუფლება“ ბელა კიკვაძის უსრულებით



25 აპრილს, ქ. თბილისში, მწერალთა სახლში ცნობილი პოეტის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, **დავით შამოქმედელის** მონო-სპექტაკლი „აქაქელას ფრთებზე დაფერილი თავისუფლება“ გაიმართა. მონოსპექტაკლი ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა **ბელა კიკვაძემ** წარმოადგინა.

გთავაზობთ ამონარიდებს სპექტაკლზე დამსწრეთა შეფასებებიდან:

ნინო ანდრონიკაშვილი: მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის დავით შამოქმედელის მონო სპექტაკლი "აქაქელას ფრთებზე დაფერილი თავისუფლება" ბრწყინვალედ შეასრულა მსახიობმა ბელა კიკვაძემ.

ბატონო დავით, სასწაული ლექსები გვკონიათ. მე ასე ღრმად არ ვიცნობდი თქვენს პოეზიას გუშინ სულგანაბული ვისმენდი. დიდი პოეტი ხართ!!!! პატრიოტი!!!! გაიხარეთ და დიდი მადლობა შენი შემოქმედებისთვის.

ნიკოლა ბაღაშვილი: მსახიობმა ბელა კიკვაძემ პოეტური - მონო სპექტაკლი წარმოადგინა, რომელიც გამოირჩეოდა ლექსის თავისებური წაკითხვის ინდივიდუალური ტემპით, რაც ავტორის ლექსების შინაარსობრივ ტკივილიანი ყოფის თუ სამშობლოს დაგლახებული ცხოვრების მკაცრ რეალობას ასახავდა. - მართალია ეკრანზე ვადიოდა ფოტო-კოლაჟი, მაგრამ მე როგორც მსმენელი და მაყურებელი - თითქოს კადრებდ აკინძულ ფილმს ვუყურებდი, რომლის მარადიული ლექსების თემათა ექო ჩემი ცხოვრების ლაიტ-მოტივი გამხდარიყო... ის კი არა

ცრემლმორეული დავბორიალობდი და თუმცა ვიდეო-ფოტოს ვიდეები -- ლამაზი გარდასახვით თუ აქტიური ბრწყინვალეებით მოცეცილი დარბაზი და მაყურებელი სულგანაბული უსმენდა მსახიობ ბელა კიკვაძეს და ტაშის და ოვაციების გარემოცვაში ადმიანებს სულაც არ სურდათ დარბაზის დატოვება -- ეს არის ბატონებო, გამარჯვება მსახიობ ქალბატონ - ბელა კიკვაძესა და ავტორის პოეტ დავით შამოქმედელისა, ხოლო ბატონ დავით შამოქმედელს, როგორც პიროვნებას და სულით-ხორცამდე მოამავე ქართული კულტურის განვითარებისთვის -- მოღვაწე - მებრძოლ ადამიანს უთიოდ ესაჭიროება დაფასება.

ლილა ნოღია: მართლაც, საოცარი სადამო იყო. ქალბატონმა ბელამ შესანიშნავად გადმოსცა პოეტის განცდები. დავით შამოქმედელი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი პოეტია. მას სტკივა საქართველო და მისი პოეზიით გვაფხიზლებს. ისე, დროა, შეირჩეს რამდენიმე ლექსი სასკოლო სახელმძღვანელოში შესატანად.



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



20-22 აპრილს მარტყოფში ჩატარდა თამაზ გველუკაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის (უმცროს ასაკში). აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდიდან წარმატებით გამოვიდნენ: 62კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ნიკოლოზ შიუკაშვილი**, მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე.

მეორე ადგილზე გავიდნენ; 48კგ **სერგო სარქისიანი**. მწვრთნელები გურამ აბაშიძე და ბექა ჩოფლიანი.; მესამე ადგილი დაიკავეს 38კგ **ლუკა ბენდელიანი** მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე, 85კგ **ალექო ჭვლიძე** მწვრთნელები გურამ და დავით მაჭარაშვილი. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონებს და თავიანთ მწვრთნელებს გადაეცათ საჩუქრად ას-ასი ლარი, მათ შორის ნიკოლოზ შიუკაშვილსა და მის მწვრთნელს კახაბერ აბაშიძეს.

რეგიონულ ოლიმპიადაზე



სასკოლო სპორტული ოლიმპიადას ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეხვედრები გრძელდება. რეგიონალური ო-

ლიმპიადა ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთსა და კროსში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ტარდება.

24 აპრილს, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის ოზურგეთის სპორტის სასახლეში ოზურგეთის, ჩონატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სასკოლო გუნდებს შორის საფეხბურთო შეხვედრები ჩატარდა. პირველი შეხვედრა ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლასა და ჩონატაურის გიმნაზიას შორის ოზურგეთის საფეხბურთო გუნდის გამარჯვებით - ანგარიშით 4:0 დასრულდა. საფინალო შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლისა და ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლას შორის კვლავ ოზურგეთელთა გამარჯვებით პენალტების სერიაში - ანგარიშით 3:1 დასრულდა.

ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტურნირზე

გასულ პარასკევს, სოფელ ბახვში ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი დაიწყო. ტურნირში ბახვის, ნატანების, ბათუმის, თბილისის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები (2005-2006 წლიანები) მონაწილეობენ. ამ ტურნირს 8 წლიანი ისტორია აქვს. I ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის 35-ე სკოლისა და ბახვის (2-1), თბილისის 35 (მეორე) და

ბახვის (მეორე) (1-4), ბათუმისა და თბილისის 35-ე სკოლის (2-2) ჭაბუკთა გუნდები. საფინალო შეხვედრა კვირას, 29 აპრილს გაიმართა. ტურნირი მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ეგიდით



მადლობა „მედი ჰაუსს“

მიწადა თქვენი გახართის საშუალებით მადლობა გადავუხადო სამედიცინო ცენტრის „მედი ჰაუსის“ მენეჯერს **თინა შავიშვილს**, მქიმ რანდგანოლობს **ქეთევან ანდლუაძეს**, მქიმ **ნანა ცხვედიანს** და მთლიან კოლექტივს **პარბი მომსახურებისა და გულისხმიერებისათვის.**

ლილა სურგულაძე.
ძ. ოზურგეთი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზიანი ღრუბლები +13+24 30 აპრილი ორშაბათი	მზიანი ღრუბლები +14+25 1 მაისი სამშაბათი	მზიანი ღრუბლები +14+25 2 მაისი ოთხშაბათი	მზიანი ღრუბლები +15+28 3 მაისი ხუთშაბათი	მზიანი ღრუბლები +14+22 4 მაისი - პარასკევი	მზიანი ღრუბლები +14+21 5 მაისი შაბათი	მზიანი ღრუბლები +14+22 6 მაისი კვირა
--	---	---	---	---	--	---